თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7779128

ნომერი: AR11124855

თარიღი : 14.01.2026

გაცემის თარიღი : 22.01.2026

გაცნობის თარიღი : 22.01.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა, N 39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჭურღულია პ/ნ 19001111626
- ზუგდიდი ს. ოფაჩხაფუ შოთა რუსთაველის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

- იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა განმარტოთ საპროექტო შენობის ფუნქცია. ასევე განმარტეთ იგეგმება თუ არა არსებული პერგოლის დემონტაჟი.
- წარმოადგინეთ განახლებული საპროექტო დოკუმენტაცია სადაც საპროექტო შენობას არსებული შენობის მხარეს მოეწყობა ყრუ კედელი და საპროექტო შენობა იქნება ცალკე მდგომი. დამატებით წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთზე არსებული და საპროექტო შენობის განთავსების სქემა კოეფიციენტების ანგარიშით.
- წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა თარიღის ფიქსაციით.
- სააგენტოს მიერ შეთანხმებული სქემა უნდა შეათანხმოთ ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან.“ საბოლოო შეთანხმებული სქემები წერილებთან ერთად წარმოდგემილი იქნას არქიტექტურის სამსახურში.
- წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის ყველა მესაკუთრის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. ამასთან, თუ მიწის ნაკვეთზე არსებული ობიექტები არ არის მშენებარე და მიღებულია ექსლუატაციაში, წარმოდგენილ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმიც, ყველა წევრის თანხმობით. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.